# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 68

„2" სექტემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, კონდოლის ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ლევან თიგიშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ნაძალადევის რაიონში, კონდოლის ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს ლევან თიგიშვილის სახელი თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ დადგენილების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


I შესახვევი
X_484748.6556
Y_ 4619849.2764
ლევან თიგიშვილის ქუჩა
X_484262.7438
Y_ 4619950.8918